

# თეატრი

№ 46

საყოველ-კვირთა სალიტერატურო და სამხატვრო კაზეთი.

№ 46

16 ბიორგობისთვის

გამოიცემა ყოველ კვირათათ

1886 წელსა.

ფასი გაზეთი „თეატრი“-სა კითხის წლით..... 5 მან. X სსსკვარ წლით... 3 მან. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქც. კონსტანტინე ჯანაშიასკისუელ ქარვას. ფოთში ბ-ნი ბესარიონ კალანდარიძესთან.

ცალკე ნუმერი გაზ. „თეატრი“-სა ღირს 15 კაპ.

აიყიდება: **თბილისში**: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, შვედროვის სააგენტო კონტორაში, ალიბანოვის პაპი-როზის მაღაზიაში, ხიდის ყურთან. **ქუთაისში** კილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკმახერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორესპონდენციები, ლექსები და სხვა წერილი წერილები. თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა შესწორდება.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ ერთს თვეს. სტატიების უკან გაგზავნას რედაქცია არ კისრულობს.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ბ-ნი წერილების ავტორთ სტატიები გარჩევი იყვნენ დაწერილი.

ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეუე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію газ. **ТЕАТРЪ** № 110. Галлерей бив. Арцруни № 110.

## პკიშიპა და გიგლიოგრაფია

მეთოდური სახელ-მძღვანელო სამშობლო ენის შესასწავლებლად შედგენილი ალექ. ნათაძისგან. ტფილისი 1886 წ. ფასი 20 კაპ.

სახელ მძღვანელო ბ. ნათაძისა გაიყოფება ორ ნაწილად.—პირველი წარმოადგენს დარიგებას. თუ როგორ, რა ხერხით და წესით უნდა შესწავლოს ბავშვს პირველ-დაწყებით კითხვა-წერა (რატომ წერა-კითხვა არა?) რომელსაც ბოლოში აქვს ჩართული რამდენიმე სამაგალითო გაკვეთილი ხოლო მეორე, თუ როგორ უნდა იხმაროს მასწავლებელმა პირველ-დაწყებითი საკითხავი წიგნი, რა ნაირად უნდა განაჯარჯოს მან ბავშვები შეგონებულ კითხვაში და შეაჩვიოს იგინი დალაგებულ გარკვეულს და მკაფიოდ ლაპარაკს და კითხვას. პირველ ნაწილი თავის მხრით, შეიცავს შემდეგ ცხრა განყოფილებას ა) წერა-კითხვის სწავლება საზო-

გალოდ: ძველი და ახალი წერა-კითხვის შესწავლების მეთოდები; ბ) სახმო (?) მეთოდის უმთავრესი ღირსებანი პედაგოგის დისტრეციის აზრი, გ) პედაგოგის უმინსკის აზრი სახმო მეთოდის შესახებ. დ) ბაჟ. (?) მიროპოლსკის აზრი სახმო მეთოდის შესახებ; ე) სამგვარი სახმო მეთოდი: სინთეტიკური, ანალიტიკური და სინკრეტიკური, ვ) ყურადსაღები წინადადებანი წერა-კითხვის (გაქვთ კითხვა-წერის) შესწავლის სახმო სინკრეტიკული მეთოდი, ზ) სინთეტიკული სახმო მეთოდით წერა-კითხვას სწავლების წინასწარი სავარჯიშო უნდა მოხდებოდენ წინასწარი სავარჯიშო სიტყვების გასანაწილებლად, ხ) მების გამოცალკეების სისტემა, თუ წერა-კითხვის (კითხვა-წერის) სწავლება და ი) დასკვნა გეგმის სამაგალითო გაკვეთილს ნიმუშები თურთ. სულ მთლად პირველი ნაწილი შეიცავს 40 გვერდს 81 თაბახის ფორმატისას, მეორე ნაწილი შესდგება ხუთი განყოფილებისაგან. ა) რამდენიმე სიტყვა პირველ-

დასაწყების საკითხების წიგნის შესახებ; ბ) ზოგიერთი რჩევა, რომელსაც უნდა მასწავლებელი ემორჩილებოდეს საუბართა სწავლების დროს სამაგალითო გაკვეთილი ნიმუშის თურთ, გ) განმარტებით კითხვა ანდაზებისა და გამოცანებისა, დ) სამაგალითო გაკვეთილი პირველი და მეორე განყოფილებისათვის, ე) სამაგალითო გაკვეთილი განმარტებით კითხვის მესამე და მეოთხე განყოფილებათათვის. სულ მთლად მეორე ნაწილი შეიცავს 22 გვერდს 81 თაბახი ფორმატისას. საჭირო არ არის იმაზედ ლაპარაკი, რომ ამ ნაირი წიგნი (რასაკვირველია, თუ რომ გონიერულად იქმნება შემდგარი) დიდი სასარგებლოა თუ რომ უსათუოდ საჭიროა ბავშვების აღზრდა და სწავლით გაწვრთნა, ნამდვილია საჭირო უნდა იყოს მასწავლებლისათვის შემზადება ამ საქმისათვის. სხუბრო და ადელი საქმე არ არის ბავშვების აღზრდა. ყოველი საქმის კარგად დაწყებისთვის და კეთილად წარმართვისათვის საჭიროა ზედ მიწვენით საქმის ცოდნა, რამოდენადაც უფრო საძნელოა საქმე, იმდენად უფრო საფუძვლიანი შემზადება მართე სამისთვის. თუ რომ საჭიროდ ვთლით შემზადებას კარგის დურგლობისათვის, ოქრო-მჭედლობისათვის, მეურნეობისათვის, დოსტოქრობისათვის, მიწისმზენელობისათვის, ნამდვილია აუცილებლად საჭიროდ უნდა ჩათვალოთ ეს აღმზრდელთათვის, რადგანაც აღზრდა შეადგენს გაცილებით უფროს და უფროსს საქმეს. როგორადაც მომზადებელ მკურნალს შეუძლიან მოუტანოს დიდი ზარალი და ზიანი საზოგადოებას ასეთივე და მომატებული ზარალი და ზიანი შესაძლოა წარმოსდგეს მომზადებელის აღმზრდელის და მასწავლებელისაგან. ესე სკოლისათვის საჭიროა კარგად მომზადებული მასწავლებელი, ხოლო მასწავლებელის მოსამზადებლად საჭიროა გონიერულად და პედაგოგიურად შედგენილი სახელ-მძღვანელო წიგნები. სახელ-მძღვანელო წიგნს ბ. ნათაძისას აქვს მიზნად დაკმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნილება რის გამო არის დანიშნული განსაკუთრებით პირველ-დასაწყები მასწავლებელი ან აღმზრდელთათვის. აი ამისთვის არ შეიძლება სინარულით გული არ აეცოს ამ წიგნის გამოსვლით ამას, ვინც კი ძვირფასად თელის ბავშვების აღზრდას და სურს და ემეტება მისთვის სიკეთე და წარმატება. ამ გვარი წიგნების გამართვა მით უფრო სასურველია, რომ ჩვენს მწერლობას ამ მხრით აქვს დიდი ნაკლულები. თუ რომ სხვა ხალხს ამ გვარი შრომით მოვბოვებათ ათასობით, ჩვენ ვერც ათა გამოვნახეთ. მგონია, შემცდარი არ უნდა ვიყენეთ, რომ ეთქვას, რომ

ამ გვარი შრომა ჩვენს მწერლობაში არას სრულებით სულ რაი, რომლისგანაც პირველი ეკუთვნის ბ. იაკობ გოგებაშვილის. ხოლო რაც უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ამ წიგნს საზოგადოებისათვის, მით უფრო უსაჭიროესად ვრაცხთ მის „მიუღვამელ“, როგორც იტყვის ბ. ნათაძე თავის წინასიტყვაობაში, „გარჩევას ამ გარჩევით ჩვენ არა გესურა დავამციროთ ან ბ. ნათაძე, ან მის შრომა. ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ ბ. ნათაძეს: იგი არის ნიჭიერი მშრომელი, მუყაითი და მოცადინე ყმაწვილი კაცი, რისგამოც დიდი დაიმედოვნებული ვართ, რომ იმ ნაკლს, რომელიც ჩვენის აზრით, იმის წიგნში მოიბოვება, მალე და ადვილად შეასწორებს ბ. ნათაძე. ჯერ-ჯერობით ჩვენ არას ვიტყვი წიგნის მეორე ნაწილის შესახებ; მასმასადამე ყველა, რასაც ვიტყვი ჩვენ, შეეხება მხოლოდ პირველ ნაწილს სახელმძღვანელოსას.

სახელმძღვანელო ბ. ნათაძისა წარმოადგენს მთლად თითქმის სიტყვა სიტყვად თარგმანს ბ. ელნიციკის; მიროპოლსკის და ბუნაკოვის სამშობლო ენის მეთოდოლოგიებთან, თუმცა კი ავტორი არ აცხადებს არსად თავის წიგნში იმ წყაროებს, რომლებითაც ესე დამონაწებთ ისარგებლა. ჩვენ ამით არა ოდეს არ ვაკიცხამდით ბ. ნათაძეს, თუ რომ მას თავისი საკუთარი ჭკუა და გონება მოეხმარებინა და მსგავსლად არ შეეწირა ზემოხსენებულ ბატონებისთვის, მაგრამ, დალოცვილი, მოსდგომია პირადები თარგმანის და იმას კი არა ფიქრობს, შეეხება ეს ნათარგმნი ჩვენი (ქართველებს) ცხოვრებას, თუ არა, მართალია ყველა, რაც ზემოხსენებული ბატონები სწერენ, თუ ტყუილია. მაინცა და მაინც, თუ რომ უსათუოდ საჭირო იყო გადმოთარგმნა, ამას მაინც იქმოდა ბ. ავტორი, რომ გადმოეთარგმნა მთლად რომელიმე წიგნი, თორემ, დალოცვილი, თარგმნის იმას, რასაც სრულებით მნიშვნელობა არა აქვს და სტოვებს იმას, რომლის გამოც ჰკარგავს აზრს ნათარგმნი ხდება გაუგებარი იმათთვის, რომელთაც ორგინალში წაკითხვა არ შეუძლიანთ გვერდი წიგნისა მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე არის სიტყვა-სიტყვად გადმოთარგმული ბ. ელნიციკის სამშობლო ენის მეთოდოლოგიებთან (Методы начального обучения отечественному языку Ельницкй стр. 22—24) რომ განყოფილებანი: სახმო მეთოდის უმთავრესი ღირსებათ დისტერევეის უშინსკის და მიროპოლსკის აზრი შეადგენენ თარგმანს ეს სათაურითგანაც ნათლად სჩანს; ნამდვილად ესეც, რასაკვირველია, უნდა იყოს; მეთერთმეტე გვერდის სამი სტრიქონი, მთლად მეთორმეტე გვერდი და სამი სტრიქონი მეცამეტე გვერ-

დისა არის ნათარგმნი ისევ ბ. ელიცკის მეთოდითგან (ის გველი 27 ელიცკის მეთოდისა); დანარჩენი ნაწილი მეცამეტე გვერდისა არის ნათარგმნი ბ. მიროპოლსკის წერილიდგან „Обучение грамотѣ“ (Народная письма 1876 г. стр. 14); გვერდი 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22. 26 წარმოადგენენ ნათარგმნს ისევ ბ. ელიცკის მეთოდითგან (Методы обучения отечественному языку Ельницкаго стр. 26—32 35, 36) ხოლო გვერდი ეკუთვნის ბ. მიროპოლსკის. ამ ნაირად მთელი წიგნითგან შთება სულ ოთხი გვერდი (23, 24, 25, 26), რომელნიც შეიძლება ჩაითვალოს საკუთრებად ბ. ნათაძისა

(გაგრძელება.)

### ნ ა რ ე ვ ი

#### შარდენის სურათება

\* \* ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ ერთი ფრანგული ძველი წიგნი, ეს წიგნი არის იოანე შარდენის მოგზაურობა საქართველოში და სპარსეთში. წიგნი დაბეჭდილია 1713 წ. ქ. ამსტერდამში. შეიცავს 279 გვერდს. წიგნი ჩართულია ჩვიდმეტი სურათით. პირველ სურათში დახატულია თვით შარდენი, შარდენის ქვეით ორი კაცია დახატული, ერთი ქართველი და მეორე ევროპელი, ამ ორ კაცს უკავია შარდენის სურათის რკალი, რკალში მოძღვანებულია თვით შარდენი. მეორე სურათი საზოგადო კარტას შეიცავს, საქართველოს და სპარსეთისას, მესამე სურათი შარდენის მოგზაურობას სამეგრელოში, ცხენებით, ხუთი ცხენოსანი კაცია ამათში და ოთხი ქვეითათ ჯზის მაჩვენებელი. მეოთხე სურათში დახატულია მეგრელი, ტანს ნაბადი ასხია, თავზე ფაფანაკი ხურავს და ფეხთ თხილამური აცვია. მეოთხე თფილისის გეგმა არის, აქ ყველაფერი ნათლათ სჩანს, თფილისი კარგა ვრცელი ქალაქია. მეხუთე სურათი მეფის სასახლეს წარმოადგენს, მეექვსე სურათი ქ. გრევიანი ერთობ დიდი შეხედულების არის, მეშვიდე სურათი ერეკლის მეჩითია, მერვე სურათი ენშიაძინს წარმოადგენს, მეცხრე სურათი საკუთრად ენშიაძინის გარეგანს და შინაგანსა შეხედულებას, მეცხრე სურათში დახატულია ქ. თავრიზი მეთათ სურათი შეიცავს ქალაქ სულთაენის, (!) მეთერთმეტე სურათი შეიცავს

ქ. კომის (!) შეხედულებას. მეცამეტე სურათი წარმოადგენს ქართველ მეფის სახლში გამართულს მეჯლიშს, სადაც თვით შარდენიც არის მიწვეული.

მეჯლიში გამართულია დიდს და მდიდრათ შემკობილს დარბაზში. სტუმართ რიცხვი 55-კაცამდე. ამ სტუმართ 15 მოსამსახურე ემსახურება. შუაზე ტახტზევანი ძევს სადაც მეფე ზის თავის მეუღლით. ამბთ წინ სხედან მესაკრავენი და რამდენიმე მოთამაშენი. დარბაზის ოთახში კუთხით სტუმრები სხედან. ორ-ორი კაცი ერთათ. შუაში ანთია მაღალი შანდლები. დარბაზის, შუა ალაგას შადრეანი ამოდის. საქმელები სინებით მოაქე თ, რომლებზედაც თასები აღაგია გარდა დარბაზის შუა შანდლებისა, ყოველ ორ-ორ კაცის წინაც თითო შანდალი ანთია. ერთი სიტყვით საინტერესო სურათია ეს სურათი მეთოთხმეტე. სურათი წარმოადგენს სპარსეთის უდიდეს მეჩეთს თავის გარეგანის შეხედულობით. მეთხუთმეტე სურათი შეიცავს შაჰ-აბაზის საფლავს, ზეიდან სამი კანდელი ჰკიდია. და მოსახულია მდიდრათ მორთულს მეჩითის ოთახში. მეთექვსმეტე სურათი წარმოადგენს ერთ მდიდარ მეჩითის შინაგან მოწყობილებას, რომელშიაც ერთი პატარა ბიჭი ზის და წიგნს ჰკითხულობს. მეთექვსმეტე სურათი წარმოადგენს ქალაქ კაჰანის სურათს და მეჩვიდმეტე სურათი ახიუსის გემოვნებაზე.

კაჰანისავე ერთ მდიდრათ ნამენს ქორეასლას, რომელიც ბევრ ნაირს გარეგან მშვენიველი არის შემკული.

\* \* ჩვენ შევიტყეთ, რომ ჩვენს პატრიცემულს ქართველ კათოლიკე მღვდელს ვინმე (ივანე გვარამაძე) მესხს ქართულის ენიდან სომხურს ენაზე გადაუთარგმნია ისტორიულს სტატია ჩვენი ისტორიკოს დ. ბაქრაძის პრეფესორი ჰეტანოვი და ქართული ისტორიის წყაროები, რომელიც ამ ორი წლის წინეთ ქართულს ჟურნალს გაზეთებში იყო დაბეჭდილი და დღეს ეს ბროშურა ცალკეც არის დაბეჭდილი. შევიტყეთ, რომ ეს სტატია თფილისის ერთ ერთ სომხურს გაზეთში დაიბეჭდებო.

### მოსწრებული სიტყვა.

ერთს საღამოს გ. — თან იყვნენ დ. — ტიკეა და განსკვნებული იაკინტე ვიფიანი. იაკინთე ვიფიანი, მასწანიძელი და უკანასკნელის მსახური ჩქარ გამოთქმაში გაქვლობდნენ. იაკინთემ მასწიძელს წყალი სთხოვა დასალუკათ:

— ბბბიჭს უბრძანაწე წყალი დასამალეკეინოს!  
 — სასლავე ბაატონო, მიუგო გ—მ.  
 — ბბბაჭო, ზოოოოოოოო, იიი ბკინთეს წყაალი  
 რართვი, გასასხა გ—მ ბიჭს.  
 — საამ სასათში, ბაატონო, გამოსძახა ბიჭმა.  
 —სანამ თქვენ თსოვნა და ბრძანებას და ბიჭი ზა-  
 სუხის გაათავებდეთ ამის კი (იბკინთესე უჩქენა) თავისი  
 დაკმარებთ. მიუგო აჭეე მჯდომმა ე—კმა.  
 ივ-ნე ქ-ქე

გამოქნილს საფრანგეთის კოროლს ფრანცისკო  
 ბორკელს რღღღ სამსახურისათვის ერთი კარის კარის და-  
 სასუქტება უნდოდა, მაგრამ სანამ დააკვიდოდა, მო-  
 ნდომა შეეტყო კეთილ-შობილი იყო იგი თუ უბრალო  
 კინმა.  
 — სულწიფევე, მიუგო კარის კარმა, ნოეს კიდე  
 ბანში სამა მძანი იყენენ, მართალი უნდა მოგასსენოთ და  
 გამოგოტყდებით რომ არ კინი, რომელია იმათგანი ჩემი  
 წინაპარი?

ერთი კაცი ტრანსალბდა ერთს კრებაში, ისეთ  
 გულადი და გამბედავი ვარ, რომ კმპასსენ არ შემეშინდე-  
 ბაო.  
 — სმანს ჩემო კარგო, სასთლისათვის თითებით  
 ცხვირი არ მოგახცინია, თორემ მგაცს არ იტყოდიო,  
 დაცინვით მიუგო ერთმა

### ა ნ ე გ ღ ო ტ ე ბ ი

ერთი პატრიცემული თავადი დაუძღურდა  
 რალაც სასტიკი ავადმყოფობით, სხვა-და-სხვა სა-  
 შუალეებს ხმარების შემდეგ, გაუნდა მას ერთი სტა-  
 მბოლელი „ექიმბაში“, რომაც იკისრა თავადის გან-  
 კურნება რამდენიმე დღის განმავლობაში (უნდა  
 შეენიშნოთ, რომ ზემოხსენებული ბ. „ექიმბაში“,  
 როგორც დრომ გამოაჩინა, დიდი გაიძვერა და ცრუ  
 ენმე ბრძანებულა. „ექიმბაში“ ისეთი დახელოე-  
 ნებული ექიმი იყო მისივე სტიკით რომ ადამს და ევას  
 უეჭველად ვააცოცხლებდა, ასი წლის უშილო დე-  
 დაბერს შვილს გაუჩნდა, ბრმას თვალს აუხელოდა,  
 ყრუს სმენას დაუბრუნებდა, მუნჯს ენას აუხსნიდა  
 კუტს ფეხზედ გაატარებდა და სხვა-და-სხვა... ერთის  
 სტიკით მას სასწაულ-მოქმედი ა ხმა დაუეარდა იმე-  
 რეთში.

როდესაც თავადმან ჰკითხა რით უნდა ვი-  
 ყო აეადო. „ექიმბაში მიუგო, რომ ეს ძნელი  
 მოსარჩენი ავადმყოფობა არისო (უეაცოცხლებ, ბატონ-  
 ნებო!) ბუასილი გკითხო, და დაუწყო განმარტება,  
 რომ ბუასილი შეიღწიო არისო და ყველაზედ უძ-  
 ლიერეი და უარეი ის არის, რომელსაც თქვენ დაუ-  
 ძღურებინართო და თქვენი მოსარჩენად დიდი შრომა  
 და მეცადინეობა დამჭირდებაო. ეეთი ბუასილი დაუ-  
 მატა სასწაულ-მოქმედმა „ექიმბაში“, სხვა თავის მე-  
 გვარეთ შორის ბატონად ითვლებოა.“  
 „მაშ ეს ბატონია?“ ჰკითხა თავადმა  
 — დიალ! ბატონი ძლიერი! დიდი ბატონი  
 მიუგო დინჯად „ექიმბაში“  
 „ღმერთმა კარგი შენ მოგცეს, მიუგო სიცილით  
 ავადმყოფმა, კარგი რეზიდენცია მაგ შენს ძლიერს და  
 დიდ ბატონს აღურჩევიო!

ო—ღი

### ო რ ი მ ნ ა ტ მ რ ე ლ ი .

დამჯდარს ყვაკი კარდის ძირს,  
 გაჭსხსავის თავის „ყვას“, „ყვას“-სა  
 და იმეორებს ხმა მადლა  
 ერთ ასირებულ ნატკრასსა:

ღმერთო! მომხადლე იგი დრო,  
 ჩემ ხელად იყენენ კარდები,  
 დაკვლიაჟო, დაესწვა, გაგაჭრო,  
 გასაც არ შეუყვარდები!...

კარდნი ფერადნა, სუნ-მთენი,  
 კარდს გულისთ ჰკიცხვენ, სწეველიან,  
 სასარლის ნატკრის ჩანაშმას  
 შემომქმედს კეადრებან!...

იჭეე, ახლოს ზას ბულებული,  
 ჭიკტიკებს კრძობით გაღობას,  
 ღმერთს შესთხოვეს ერთსა სანატრელს,  
 მისს აღსრულებას, წყალობას:

„ღმერთო! მომხადლე იგი დრო—  
 კეთილ დღეობდენ კარდები  
 და მე არ დაგსდეე, არ გასწეველი,  
 თუ არც ერთს შეუყვარდები...“

კარდნი ფერჩქნილნი, სუნ მთენი  
 ბულებულის ქებას მღერინს,  
 მის დღეგრძელებას, მის კეთილს  
 შეკრძმედს კეადრებან!...

გ. თირელი.

### თეატრის კვირა

რომელითაც იგი ცდილობს უარ ჰქვას  
 ეგელს ის, რაც კი მე მიწერია  
 საღვთის მტრეველო საგნების გამო.  
 დიად, ის იყო ჩემი მოწაფე  
 და აი მებრძვის თვის მასწავლებელს!  
 ამ თხზულებითა მან ყოველივე  
 მოსპოვ კავშირი თავის ერთხანს,  
 მამა-მამის საწმინდოებასთან,  
 მამასადაც თვითონ ჩემთანაც  
 იოხაი.

მამ კომოქმედოთ ჩვენ ერთად, სილვა!  
 მე გუფით მიეკარს მანსკეს ქალი;  
 როს დაბრუნდი და კვალად ვნახე ის,  
 უფრო აღმეგზნო ტრფობისა აღი.  
 მაგრამ ღრუბელი, როქელიც უშლის  
 ჩემსა და იმის ბუნდებებს—  
 უნდა განიბნეს ანაზღუფლად.  
 მე ვერ გავუდავ ვთხოვო იედითსა  
 ყოველივე ეს, ვით მოწყლებსა.  
 და თუ იკისრებ შენ მის წინაშე  
 ჩემის სულისა თარჯიმანობას—  
 კარგი იქნება,—გაცს ამპარტავანს  
 არ მოუსდება თვითონ ჰქმნას ესა...  
 დაბინდდა... წადი... იქ ბაღში კიდევ  
 დაისვენებ შენ...

სილვა.

ეური დამიგდე,

ვერ სინამ წავალ, გთხოვ დამიმტკიცო  
 ცხადად კვ შენი იჭენეულება..! (მსახური შემოდის)  
 რა? რად მოსკელ?... (იოხაის) უგატრავად ვარ.

მოსამსახურე.

იქ ვიღაც შენი მოწაფე არი,  
 იგი აქ თქვენთან თითქოს მინახავს,—  
 რადგან მისსოკს, რომ თქვენ ის გიყვარდათ  
 მისთვის მივეცი შემოსულის ნება... (მივაკარებთან).  
 მობრძანდით აქა.

გამოსვლა მეორე

სილვა, იოხაი, უროელი.

იოხაი. (იქში)

ის არის, ის!

სილვა (იქში).

უროელ!

ურიელ.

ხომ არ დაგიშალეთ? (მოსაწყენი სიჩუმეა).

სილვა.

თუ მოსკელ ჩემთან, ვითა ექიმთან,

მობრძანდით! ექიმს მართებს თვით მტერსაც  
 კარი გაუღოს.

ურიელ.

მტერსა, დე-სილვა?...  
 მასწავლებელთან მოკვლ და მინდა  
 გამოკეთსოვო.

იოხაი (იქში).

გამოეთსოვო?

სილვა (აცნობებს ურიელს ბენ-იოხაის)

იცნობთ ერთმანეთს?

ურიელ.

დიად, ვიცნობთ.

იოხაი.

მე

სწორედ რომ ვარ გაკვირვებული;  
 ვგონებ თქვენს სთქვით, მივდივარო?  
 ურიელ.

იქ,

საიღამაც თქვენ უგვე დაბრუნდით,  
 ხვალ ადრინად უნდა წავიდე.  
 მე მინდა ვნახო უცხო ქვეყანა,  
 ვნახო იქ სალსი როგორც ცხოვრობს.  
 და რადგან მსურდა გამოეთსოვება  
 მათთან, რომელნიც გუფით მიეყარან,  
 ამისთვის, სილვა, შენთან მოვედი  
 და გიწვდი ხელსა...

სილვა.

იმ ხელს, რომელითაც

ჩემი გონების ნამოქმედარი

ამ დღეებშია გადაისროლე,

ვით უვარგისი ძეგლი წამალი?

ურიელ.

აკი გითხარი, რომ მე აქ მოკვლ

მსწავლულთანა და არა ექიმთან.

და თუ რამ სტკივა ჩემს აზროვნებას,

შენც იცი სნეულ სულის საკურნად

საჭირო არის თვისივე ღონე.

სილვა.

როს ბავშვი იყავ ჩემ ფუნთით იჭექ,

ჩემგან ისწავლე-რა არის აზრი,—

მაგრამ ესლა კი შენს მასწავლებელს

შენის თხზულებით აღუდექ წინა!

ურიელ.

მიკვირს, დე-სილვა, ძალიან მიკვირს,

აზროვნებისა სწავლა იქნება?

ან მოწაფენი, მასწავლებელნი

იმ უმაღლესის ცოდნის სფეროში,

საც ყველა ჩვენი აზრი, ჰრინციბი,  
ჩვენს სისხლში უნდა იხადებოდეს  
იმ ცოდნის მიღებით, ვითარცა ძველ დროს  
აიაქსისა სისხლში ყუავილი.  
მე ვერაუღოთ დოღმატიურსა  
სწავლას მოკვირე ჰაზრი ნათელი,  
რომელშიცა არეულია  
სამღვთო მოძღვრება სავროშია;  
მე ასე ვქმენი არა იმისთვის,  
რომ მეზოგნა ის ჭეშმარიტება,  
რომელიც ყველას უნდა მიანდეს  
ჭეშმარიტებად; — ოჰ, არა, არა!  
მე მხოლოდ ჩემმა უმეტრებამა  
მიბრძანა მეთქვა; ჩემმა სიბრძნევე  
მიბრძანა ხედავ; ჩემმა სიყრუევე  
მიბრძანა სმენა. დიად, დე-სილვა!  
ჩემმა მხოლოდა, — არ დაივიწყო.  
შენც სომ იცი, რომ ჩვენ მხოლოდ იმას  
დაგვიჯერებენ, რაშიც თვითონ ვართ  
დარწმუნებულნი...

სილვა.

ჭრისტიანობა

გოჯობს ესლავე მიიღო შენა...

ურჩიელ.

დე-სილვა!

სილვა.

რატომ, მაშინ უფალო  
ეზრავს იმას მიუტოვებდა,  
რომ შეურაცხველი საწმინდეა!  
სამართლიანი გულისა წყრობა  
მეტყველებულს და გონიერს ხალხში  
გამოიწვია შენმა თხზულებამ  
შესასებ ჩვენის საწმინდეებს.  
არა, ურჩიელ, სჯული ვაღადა გვდებს,  
რომ გვიყვარდეს და მატყუარა ვცემდეთ  
სინაღდალსა და მის დოღმატებს.  
ესლავ, როდესაც ძლივს დაკადწიეთ  
თავი აძინესა დეენულებასა,  
ესლავ, როდესაც თავისუფლად  
ჭება-დიდება ზენაჩრისისა  
ადმოღის ჩვენთა ბატუატანა,  
როგორათაცა ალი მსხვერპლისა, —  
ნუთუ აწ ჩვენი თავისუფლება  
კადნიერებით ბოლას მოუღებს  
მას, რასაც ძენი ისრაილისა  
ტანჯვათა შორის წმინდად იცავდნენ  
და რაცა სწამდათ შეურყეველად

თვისთა იმედთა მისაყრდნობულად?  
არა, არას დროს! ცნობის მოყვარე  
ჩემმა გონებამ თუნდაც რომ მითხრას  
„ყველა ეტკვდარი, დამზალიაო!“  
მე მაშინაც კი, ღმერთმა სომ იცის,  
არ დავტოვებდი საწმინდეებს,  
როგორათაცა არ უტყუებენ  
იმას მსახურსა სისხრულშია,  
რომელიც მარად ერთგული იყო  
ტანჯვაშია და განსაჭირშია!

ურჩიელ.

შენი რა მომწონს, ეტ შენი გული!  
შენ საკვირველის სისწრაფით იცი  
სიყვარულიც და მიუღვარებაცა.  
შენ შეცდომაც კი მოგეტყუება.  
მე როგორც ვხედავ, ჩემი თხზულება  
შენ რიგინად არ წაგვიტყუებს;  
წაიკითხევი, ნუ დაგვიტყუებს  
მას, რასაც სხვანი გუებნიან.  
მე მოველ აქ, რომ ვუთხრა მშვიდობით —  
არა მაგ შენსა მიუღვარებასა,  
არც შენს შერყეულს ფილოსოფიას,  
არც შენს გონებას, სიბნელით მოცულს,  
იმ ვაკრ სიბნელით, როგორიც აი  
ჭვენიერებას აწ ეფინება, —  
არა, მე მოველ გამოკეთსოვო  
მეგობრულად შენს ჭაღარა თმებს.  
ახლა კი დროა... მშვიდობით!.. ვიცი  
ჩვენ ერთმანეთსა გელარა ვინავეთ!  
იოხაი.

გთხოვთ აწ მე მომცეთ საუბრის ნება,  
რაცა მის ღირსი თქვენ არ გამხადეთ.  
მითხარით, თქვენთვის სომ არ ვიქნები  
გზაში რითიმე გამოსადეგი...

ურჩიელ.

თქვენ მეტის-მეტად გულ-კეთილი ხართ!  
იოხაი.

გუთაყვას მითხარ... იქნება შენა  
მისვალ ჰარიეში? ჩემის წერილით  
შენ იქ მრავალნი კარს გაგიღებენ...  
სწორედ აგრეთვე ღონდონშიცა  
გაგატან წერილს...

ურჩიელ.

მე სამსრეთისკენ  
მივერგზავნები, გერმანიაში...  
გვიღებებრგი სომ იცით თქვენა?

იქ მე მოკლები მეუღრას კელსა,  
სადაც დაგუწეუბა ხას მდინარეს,  
ტურფა ვევილებს, მწვანე ბალახებს  
და მინდვრის ჩიტებს...

იოხაი (იქო).

ძლივს არ დავმშვიდდი!  
სილივა.

მერე, ივლითი გიშეგებს?

ურიელ.

ივლითი?

ეგ რა კითხვანა?..

სილივა.

იგი ხომ არის

მოწაფე კარგი, დამკურებელი  
შენის სიბრძნისა!

ურიელ.

ასლა ცხოვრების

სკოლაში შევა.

სილივა.

რაც ქალისათვის

უკვლავ სკოლაზედ უკეთესია.

ურიელ, ახა შენის მოწაფის

მოძავლეს საქმრის ჭკითხე, — მგონია

ისიც მავ შენის აზრის თანხმად

იყოს...

ურიელ.

არა, იოხაი, არა!

თვითონ მდიდარსაც არაფერს აწეებს  
ისწავლას ზიზღი სიმდიდრისადმი.

ჩააქრეთ უკვლავ იგი ჭილები,  
რომელნიც გინდათ ქორწილში ენთოს

ჰატარძლისა ჰატაკ სარემლად.

არა, არ უნდა მას ის ჭალები,

არც ოქროსი და არც ვერცხლის თასნი...

ივლითმა მამის სახელში გაიგო

ფუფუნებითა ცხოვრების გეგმა

ჩემგან ისწავლა ვით მოიპოვოს

თვის არსებში გამაფრთხილება!

(თან-და-თან ლელდება და გრძნობაში მიდის).

თუ მანც და მანც ისურვებთ

ოქროს ჭერ ჭეშს იმის მიღებას,

თუ მას მოკმახავთ მედიდურათა

და სიმდიდრეში მარად ამყოფებთ, —

იგი ამისი ღირსი იქნება!

იგი ცით ჭეუენად მოკვნილად,

მას ჭეუენიური არა რა აქვს რა;

იგი ციური საუნჯე არის,

ანგელოზია, რომელსაც თქვამდ  
მოსვლია ჭეუენად ჩვენთან ჩამოსვლა.

ნუ, ნუ შეასებთ მას იმა სელსა,

რომლითაც თქვენა, ცოტა ხნის წინად,

ურეკდით ბილწას ოქროს და ვერცხლს!

თქვენ იმაზედა უნდნ ილცოთ,

ვით ღვთაებაზედ!.. წავიდე დროით!

თქვამ... იმაზედ, რაც თქვენ სულთ რჩება,

ვერ დაშრეტს ცეცხლსა განმორბისას...

ოჰ, დროით! — დემეტო შენ შემეწიე!

(მირბის კარებისკენ, რომელიც იმავე წამს იღება.)

გამოსვლა მესამე.

შემოდან სინალოლის ორი მოსამსახურე, დიდის ანთებულის სა-  
ნოლებით; მათ მოსდევს რაბინი სანტოს წიგნით.

სანტოს (იქო).

აკოსტა? აქ?

სილივა (იქო).

რაბინი?

იოხაი. (იქო).

ეს რას ნიშნავს?

სანტოს.

დარჩი აკოსტა, აქ სუთიოდ წამს,

რომ გაიგო რა მონდობილობით

მოკვლ სილვასთან...

სილივა.

მონდობილობით?

ჩემთან, რაბინო?.. ეგ სანთლები...

სანტოს.

თქვენ

გაკვირთ? რომ ვერ არ დადამებულა —

მე ვი სანთლები სელში მიჭირავს!

სტან ეს სანთლები დიდის სინათლეზედ

ჭოი აკოსტას ამაყო ჭეუენად,

რადგან გსურს გამოცხადებაზედა

უფრო ცხადი და ბრწვნივალე იყო!

ურიელ.

რაბინო, მითხარ მე აქ რა უნდა

გაკვირო შენგან?

სანტოს.

სილვა, ეს წიგნი

შენ სინალოლამ გამოგიგზავნა,

როგორც ღრმად მცოდნეს სარწმუნოების

და უკვლავ წმინდა მის წყაროების.

სინალოლამ გთხოვს, რომ შენ ეს წიგნი

გმოიკვლიო სინალოლისათ

და არა ფილოსოფიის თვალთ:—  
 არა, შენ უნდა გამოკვილო,  
 იგი რამდენად შეეფერება  
 ებრაელების სარწმუნოებას.  
 ან შეუძლიან ამის დამწერსა  
 აკობის ძედ იწოდებოდეს  
 და საუკუნო ცხოვრებისაცა  
 იმედი ჰქონდეს?

სილვა.

ამ უმადლესსა

პატრიარქს ვტვირთულობ, რაბინო, დიდის  
 მოწიწებითა...

სანტოს.

თუ ეს სანთლები

სულის ამ წიგნის დამწერის,  
 მას სინალოდს უნდა გაიგოს,  
 შეიძლება მას მიეცეს ნება,  
 რომ უწმინდურსა ნათელსა ჰქონდეს  
 უწმინდესის ღამნართა შორის?  
 სამს მოათხოვრეს ერთ კვირის შემდეგ  
 შეატყობინებ შენს ზნეს. ახლა გთხოვ  
 ბატონო მომცეთ, რომ თქვენ ეს წიგნი  
 ჩემგან მიიღეთ.

აძლევეს წიგნს სილვას, რომელიც გადაშლის მას და შევროთ-  
 ბა, რადგან იგი აკოსტას თხზულება.)

ურჩიელ.

რათ, დე-სილვა?

რამ შეგადრწუნა? მითხარი სწორედ—  
 მე ხომ ეგ თქვენი ბრმა ფანატისმი  
 მემუქრება აწ სრულად გამოქროს  
 სულის სინათლეც...

სილვა.

დიად, შენა ხარ...

შენ, ბრადღებულო...

სანტოს.

თქვენ აქ აცხადებთ

სიბრალულსა?.. დე-სილვა, ამ წიგნსა  
 ისე უყურე, როგარც მხოლოდ წიგნს;  
 დამწერს ვერ იცნობ.

სილვა.

ღირსო რაბინო,

აჲ ბატონო, რომ მე მივიღე  
 ეს სამწუხარო მონღოლილობა...  
 აკოსტა! შიშის ზარი გვიპყრობს ჩვენ,  
 როდესაც ღმერთი თვითონ ჩვენ გვამდეკს

ხელში სადავეს ჩვენს ბედისას  
 და არა სხვისას და ჩვენვე ვვირჩევს  
 მსაჯულად ჩვენს ბედნიერების  
 და ჩვენისავე უბედურების...  
 მაშ მითხარ იმას რაღა მოუვა  
 ვინც რომ მსაჯულად სდება სხვის ბედის,  
 ვისაც უფალი თვით ამოირჩევს  
 განსაკითხულად სხვის მოქმედების.  
 ვწუხვარ, აკოსტა, ძალიან ვწუხვარ,  
 რომ მრწამს ზეგარდმო დანიშნულება,  
 რომ სშირად ვხედავ ნებას უფლისას  
 მასშიაც, რასაც კაცი მიბრძანებს...  
 მე ჩემმა ერმა გამოიგზავნა  
 ეს წიგნი-და მე მას გამოვიკვლევე  
 ტორთან, ტალმუდთან შედარებითა.  
 (გაღის; თან გასდევნ სანტოს და მოსამსახურენი).

იონაი.

რად ხარ, აკოსტა, აგრე შექმრთალი?  
 ნეტავი აგრე შენ რა ვაწუხებს?  
 შენ ხომ ავირობ სხვაგან წასვლასა—  
 დაე აქ იმით რაც რომ ენებოთ  
 ის განგიბინონ,—ორეუ ერთია.  
 როცა სხვა ხალხი, სხვა ჩვეულება  
 შენ მიგიდებენ თავითა შორის,  
 აქ რა სასჯელიც უნდა დაგადონ,  
 ისე მოისმენ, ვითა ზღაპარსა...  
 ახლა მშვიდობით, გზა დამილოცავს! (გაღის)

ურჩიელ.

შენა გგონია, შენს საამებლად  
 კიდევ წავიდე უცხო მხარეში?  
 შენა გგონია, რომ რაკი ერთხელ  
 ივლითისა და ჩემს დასასხსნულად  
 მხდლად გამოკეჭე ბრძოლას გულისას,  
 ესლაც ისევე მხდლად გაეჭედე  
 გონების ბრძოლას?.. ოჲ, არა, არა!  
 შემცდარი ხარ შენ! ჭეშმარიტება  
 ვისაც რომ უყვარს, ვინც მისთვის იბრძვის,  
 მის გვირგვინისა მშვენიერს სსივეს  
 თავისის ფეხით როდი გასთეფავს,  
 როდი გააქრობს მას ცეცხლს ბრძოლისას,  
 რომელსაც გვიგზნებს ჭეშმარიტება...  
 გავიჭე ეხლა? არა და არა!  
 დაურჩები თუ ვინდ მაქციონ მტკერად!

(გაღის)

### ხალხური ლექსები.

კასტანგ შევე წამობსინდა თან წამოეკა დიდი ჯვარი,  
 სტენის ბოლოს მოვიდნენ ამოდენა ღვინით მოვრადნი,  
 გორიჯვარში ჩამობსინდნენ არ ილოცეს გორი ჯვარი,  
 ზედეკელასხედ შეიბძენ ოსმალა და თუშის ჯვარი:  
 შესვლასხედ მოკლეს სამოცი, აადინეს სისხლის ღვარი.  
 ამ მამადლადს გიორგიმ რასხედ ამოიგლო გვარი,  
 ან შეიღმა, ან მამამ რასხედ დაისოცეს თავი?  
 ვალადებულმა ცნოს მოკლას, მერმე იმას მოსტრეს თავი,  
 დედას კაცი მიუვიდა, ვალადებულ მოგუჭეს მკვდაბი.  
 ვაი, შეიღო ვალადებულ, ვინ შენა და შენი ხმადი!  
 შეიღო ქორწილს გიპირობდი, უნდა მომეყვანა რძალი,  
 ტავსტი შეკვარ, ჩილადდრისა ოქრო მკედით მოჭარგული,  
 სედ ბატონის რძალი დავსვი, იაღჭნითა შეკასმული.  
 იზილასმა გაიგონა, გაიშლდა გიშრის თმანი;  
 ონანსაჟმ გაიგონა—თავს დაისხა ქალის ჯვარი.

დასიურამ თქვა წყალსუდედა: ბუკრი გერ შემდრის წყალსაო  
 დისეკს ვაბრუნებ წისქვილსა, გაის შემოვისსამ ჯვარსაო;  
 ჩამბირეთს რომ გადმოგდებო, შავათ დამედოს მე ფერი  
 საუდრის კარსიერ ჩამოგბინდე, წირვას დაგუენო ძვედელი,  
 სელანსუას კაცი გაგვზავსო, იქდან მამივა ძვედელი;  
 ფისამეს შემოუთვლია: მე არ მმართებს შენი ძვედელი!  
 ჩემ ჩემთა ჩავიპირებო ბუკურაშვილის კარსაო,  
 ბუკურა გამოსულიყო, გუარდზედ ისხამდა ტყავსაო.  
 ჩერქეზი გორასხედ იღვა, იქდან მამდეკს ქრთამსაო:  
 ნახვრეკეში ქვას ნუ შეიტან, მე არ დავიშლი სსუსაო  
 დიდ-ღიანსკან გამოსმასა. „მე მოქცემ კაი ქალსაო.“  
 მე შენსა ქალს რას ვაქნებ ვეს და გუდიანსაო?  
 ბოლას მოკასამ საბელსა სულ ისე ვავსდი ტყავსაო.“  
 ანა გნასამ დასიურა გესვეოდნენ კოლოები,  
 ბიჭ-ბუკები ხანაბდნენ და ტიტკულა გოგოები.

(შეკრებილი ანასტ. თავდგირიძისაგან).

### მომხრობანი

ერთი მრავალთაგან  
(მოხრობა კატული მენდესისა.)

პარისში სტხოვრებდა ერთი კეთილი ოჯახობა,  
 რომლის ბედნიერებას ბევრნი ნატრულობდნენ. თა-  
 ვი კაცი—მამა გამოჩენილი მხატვარი იყო და იმდენს  
 შოულობდა, რომ მის ცოლს და ქალს არაფერი

გაკირებოდათ; ჯერ ჯერობით მათ არ უცდიათ არც სი-  
 ლარიზის სიმწარე და არც სხვა რამე უბედურება, პირ-  
 რქით მათი ქონება და სახლის მორთულობა ბევრს  
 შურიანებს და ხარბებს ბოროტად აქიქიკებდა ხოლ-  
 მე. აი ერთს დღეს თავი კაცი—მამა კვდება და ორი-  
 ვე ქალები, რომელნიც თვისის უზრუნველობით ჩი-  
 ტებს ემსგავსებოდნენ და რომლებსაც მამის სიცოცხ-  
 ლის დროს თავშიაც არ მოსვლიათ მომავალი დღის  
 სარჩოზე ფიქრი და ზრუნვა; ერთბაშად მოეცვითათ  
 ფრთები და პირ-და-პირ წარდგნენ ნამდვილ საშინელ  
 ცხოვრების და ის მოთხონილობის წინაშე. მამას  
 დაუღალავს მუშაკს-ძისას არაფერი არ დაუტოვებია  
 მათვის: არც მოძრავი და არც უძრავი ქონება. მარ-  
 თალია მათი სახლი საესე იყო სხვა-და-სხვა ფანტას-  
 ტიური სამკაულებით და მორთულობით, მაგრამ რას  
 შეადგენს სამკაულობა? მათი შოენა ძვირად ღირს,  
 მაგრამ გაყიდვის დროს სრულიად ეკარგებათ თავისი  
 ღირსეულობა, თავისი ფასი. გარდა ამისა იმათ ვალე-  
 ბიც სწავთ კისერზედ. კარის ელექტრონიული ზარე  
 ყოველს წუთს უწყალოთ რეკავდა: ხან მგზურე რე-  
 კავდა, ხან ყასაფი, ხან მრეცხვი ხან ბაყალი და სხვა.  
 ყოველს წუთს ერთი და იგივე მომამზებრებელი:  
 დინ, დინ, დინ, დინ, დინ!.. ამ ანგარიშებს ბოლო  
 არ ჰქონდა. უქანასქნელი რაც ჰქონდათ დედაკაცებს,  
 ზოგი დაწინდრებული იყო, ზოგი ჩაღის ფასად გა-  
 ყილული, მაგრამ მინც ხშირად ეძმოდა ქალებს ასე-  
 თი სიტყვები: „თუ ფული არა გაქვთ, მა რალა ოხ-  
 რობას აკეთებთ? იმუშავეთ, რეცხეთ, ჰკერეთ განა  
 საქმე არ გამოგიჩნდებათ თუ კი მოინდომეთო!“  
 და სხვა-და-სხვა. დედა, რომელიც ერთბაშად კრუხივით  
 დაეშვა, უიმედობის თვალთ იყურებოდა გარშემო  
 და რალაც ვამბავით სულ ყავასა სვამდა. მაგრამ  
 ქალი, ახალგაზდა, ბევრი ბევრი 20 წლის მშვენიერ-  
 რი, ამაყის სულით და ძალ-ღონით საესე, ვერ იტან-  
 და ასეთს დამკირებას.—რა ჰქნას ახალგაზდა ქალ-  
 მა? როგორ თუ რა ჰქნას, იმუშაოს! განა სწავლ-  
 განათლება ან ნიჭი აკლია-თუ? იგი მშვენიერი დამ-  
 კრელი იყო ფორტოპიანოზედ, და თან კარგი მხა-  
 ტვარიც, ასე რომ ხშირად მამის სიცოცხლის დროს,  
 ბევრნი გამოჩენილნი მხატვარნი პატარა ქალს-მხატ-  
 ვარს დიდს სახელს უქადნენ. დიახ, ქალი შეუდგება  
 მუშაობას, დედას და თავის თავსაც ულუკმობურად  
 არ დაავდებს, ჩაიცვამს, დაიხურავს! მართალია, პირ-  
 ველ ხანებში გაუჭირდება, მაგრამ განა სიმწილემ  
 უნდა შეაშინოს? ბრძოლისათვის იმას ძალიც აქვს,  
 ღონიც, სიცოცხლეც და გამბედაობაც! დიახ ასე

სჯობნა. შრომამ, პატიოსანი შრომამ უნდა დაიხსნას ორივე ქაოები შიმშილ წყურვილისგან...

მამა მის ბეერი მეკობრები ყვანდა, მაგრამ არა მეგობრები კი არა-ნაცნობები (ამ ჩვენს ღროში მეკობრები იშვიათი მოვლენა) და აი ამ მამის ნაცნობებმა ახალგაზდა ქალს ხელ გაუმართეს. ყველანი იწვეოდნენ, ყველანი საქმეს პოულობდნენ ახალგაზდა ქალისათვის. მომეტებულიათ გაკვეთილებს შოულობდნენ. ყველას ის უხაროდა, რომ შრომას დაუჩვეული ქალიერთბაშად შრომას ჰკიდებს ხელს და თავის „მშენიერის“ ხელებით დღიური საზრდოს შოულობს, ხუმრობა ხომ არ არის! და მერე როგორი ქალია, ყოველისფრით მშენიერი: გაზრდილი, განათლებული პატიოსანი, რბილი, ზნეობრივი, მომხიბლავი, ნაზი და სხვა-და-სხვა. აი ასე ლაპარაკობდნენ სხვა-და-სხვა „სალოანებში“. ახალგაზდა ქალის საქმე საუხბოვოდ წავიდა. ესლა არც მოვალეები და არც შიმშილ-წყურვილი აწუხებდა მას და დედა-მის. ყველა ვალეები ნელ-ნელა გაისტუმრა, პირ-იქით ცოტა ფულიც მოაგროვა... მაგრამ ყველა ეს ბედნიერება ერთს დღეს დაიხშო. სუზერინა (ასე ეძახდნენ ახალგაზდა ქალს) შეუყვარდა ერთს „დედის ერთას“, მღიდარ ოჯახის და არისტოკრატის შვილს და მერე რომელი ოჯახის? იქ სადაც სუზერინა გაკვეთილებს აძლევდა პატარა ბავშვებს. დიან, სუზერინა შეიყვარა „დედის ერთამ“, ხუმრობა ხომ არ არის! სიყვარულს კიდევ ჯანი გავარდნოდა, თურმე ცოლათ შერთვა დაპირა. აი ეს იყო საოცარი, ეს იყო გონებას შემმღელი საგანი არისტოკრატი-ქალის დედას. მაგრამ ნეტა სუზერინას უყვარდა „დედის ერთა“? რატომაც არა. მხოლოდ სიყვარულია უბედურებისათვის და დატყვევისათვის შესაძლებელი! ასე იყო თუ ისე, ხოლო „დედ-კაცობა“ „არისტოკრატია“ აწიწმატდა: როგორ თუ ცოლად შერთვა, ვილაც მათხოვარ ვილაც დატაკი გოგო ჰპედავს და ლამობს ჩვენი ოჯახის შეურაცხყოფას; იმიანი საქმე გაკვეთილებია. ქუჩა-ქუჩა ხეტიალობდა და სხვა არაფერი... ოჰ! ის საძაგელი, ის უზენოა... და სხვა-და-ხხვა... ყველგან დაეცეკა კარები საცოდავს სუზერინას... დედებმა ქვეას მოჰკიდეს ხელი; რას ბრძანებთ ქალბატონო, სახლში არ შეუშვათ, თორემ უთუოდ მონიბლავს თქვენს ვაჟს და ვადაგირევსო. აი ასეთი იარაღი იხმარეს „პატიოსანმა მანდილოსნებმა“ საბრალო ქალის წინააღმდეგ და კიდევ მიაღწიეს თავის სურვილს. სუზერინა ისევე ულუქმა-პუროდ დარჩა. სიღარიბე. შიმშილი, წყურვილი კვლავ დაბრუნდა

ორის უბედურის ქალების სადგომში. სიცივე, შიმშილი... ხელ ახლათ წამოვიდნენ მოვალეები, ხელ-ახლათ წარმოადგინეს ანგარიშები—ესლა არც პური, არც ხორცი, არც შეშა! მაშინ გამოჩნდა ვილაც დეთისნიერი მეგობარი, რომელმაც თავის თავი „დედილოთ“ იწოდა. აი ამ „დედილოთ“ ეზრალევა მათი უბედური მდგომარეობა და მიტოვაც მოვიდა რომ რამე უშველოს, სარჩო გამოუჩინოს... „დედილოთ“ ეუბნება: ერთი ვილაც მღიდარი ბატონი გახლავთ რომელსაც ძალიან სურს თქვენი დახმარებაო... თქვენ ხუმრობა ნუ გვონიათ, ძალიან მღიდარია. მერე რომ იცოდეთ, რა ნაირად უყვარს ქალები, მეტადრე თქვენი თანა ლამაზი ქალი. ესეც უნდა გითხრათ, რომ ფულს თავის დღეში არ დაიშურებს. დიდს სახლს გიქირავებთ ორივეს, დედას და შვილსაც მოსამსახურეებს და მზარეულებს ორ-სამა დაგიყენებთ, თქვენ აგრეთვე საკუთარი ეტლიც გექნებათ თავის ცხენებით და ქუჩით, ყოველ თვე გადაჭრილი ჯამაგირი გექნებათ დანიშნული—1000 მანეთი. ამ თავითვე, პირველი გაცნობისათვის მოგართმევთ 10000 მანეთს. ერთი სიტყვით მთლად ავაშენებთ ორივეს. ის დიდი ხანია თქვენ გიცნობთ, მამა თქვენი მაშინ კიდევ ცოცხალი, იყო თქვენ რამდენჯერ ხელით უტარებინართ, რამდენჯერ თქვენთვის ტკინი და კამფეტები უყიდნია... მართალია, ცოტა ხანში შეუძლია, მაგრამ არც ისეთი ბებერია, რომ არ მოგეწონოსთ... მერაწმუნეთ, რომ ჩემთვის არ ვზრუნავ, არამედ თქვენთვის ვცდილობ, თქვენ დაგვხმაროთ მსურს და სხვა-და-სხვა სიმღერები გააბა „დედილოთ“ ამ კილოზედ... სუზერინა მალე მიხვდა სად სცემდა გულ ლომობიერი „დედილოთ“ და მკივე გარეთ გაათრია და კიბიდან ძირს ჩაუძახა... მაგრამ დედა... დედამ ვერ მოისვენა. 10000 მანეთი თვალ-წინ ეხარებოდა, სიმდიდრე, კარგი, უზრუნველი ცხოვრება, ჰამა სმა და ჩაცმა... 10000 მანეთი, ღმერთო, რამოდენა ფულია!.. ბუტბუტებდა დედა... სიღარიბე კი თავისას სჩადიოდა. სიმშილი, სიცივე... ვჰ!..

ერთხელ სუზერინამ შევიდა „დედილოს“ სადგომში და უთხრა: «მე თანხმა ვარ! ხეალ წავიდეთ იმ ბებერი «მეგობართან», დღეს კი ერთი ხუთი მანეთი მასესხეთ! «დედილოთ» რა თქმა უნდა მაშინათვე მისცა ფული... ვაჭრობაში ფული ესე იგი მე ხომ აუცილებელია, მეტადრე თუ «საქონელი კარგია»...

მეორე დღეს სუზერინა წავიდა „მეგობართან“. ბებერს „მეგობარს“ სიხარულისაგან კინალამ დაძვლა მოუვიდა. სუზერინა სდგას „მეგობარის“ წინ

უშიშრად, მედგრად, არც ერთი მისი ძარღვი არ ირყევა.

- მაშ თქვენ 10000 მანეთს იძლევი?
- დიახ 10000 მანეთს და თუ გნებავთ მეტსაც!
- ახა ფულები სად არის?
- აი მიირთვი.

სუზერინამ გამოართვა ფულები, დაჯდა სტოლთან, დასწერა ბარათი, შიგ ფულები ჩასდო და წამოდგა:

— ბიჭს დამიძახეთ! ბიჭო შემოვიდა.

— წაიღეთ ეს ბარათი იმ ადრესით, რაც ზედ აწერია და სუზარინა მიუბრუნდა ბებერს „მეგობარს.“ ამ დროს ბებერიც მიუახლოვდა.

— მომთმინეთ! ნელა წაიღულუნა სუზერინამ ბებერი „მეგობარი“ გაცეცხული იყო, მას არ ესმოდა რას აპირებდა სუზერინა, ხოლო მისი თვალები, მთელი მისი აგებულება რაღაც ბოროტის ენებით აივსო. ასე გაიარა რამდენიმე წუთმა. ბებერი კვლავ მიუახლოვდა სუზერინას.

— მომთმინეთ. გაიმეორა ქალმა. კიდევ გაიარა რამდენიმე წუთმა.

— ეხლა ჩემი ბარათი თავის ადგილზედ იქნება. ეხლა ფული დედაჩემს ექნება ზელში—წარმოთქვი რაღაც ძალდატანებით ქალმა. ყური დამიგდეთ მამა ჩემის „მეგობარო“ და ჩემო კეთილ მზრუნველო! მე იძულებული ვიყავი ორს გზაში ან ერთი, ან მეორე ამერჩია—ესე იგი ან მატყუარი მტაცებელი გაემხდარეყავი ან როასკ... დიაცი... მე ვიჩიე პირველი—მოტყუება მტაცებლობა.

სუზერინამ ერთს წუთს ამოიღო ჯიბიდან რევილიერი, რომელიც მას ეყიდა იმ ხუთ მანეთად, რომელიც „დედილომ“ ბედმისცა, მიიტანა რევილიერი საფეთქელთან და გაისროლა... პატარა სისხლით გასვრილი ტიფი ჩავარდა შამპანურის ღვინით სავსე სთაქანში, რომელიც იქვე გაშლილ სუფრაზედ იდგა, სხვათა სასმელთა შორის...

ცალოპი.

რედაქტორ-გამომცემელი ვ. აბაშიძე.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

## „თეატრის“ რედაქცია.

მომავლის წლისათვის განაგრძობს ხელის მოწერის მიღებას.

გასეთი „თეატრის“ პროგრამა მომავლის წლისათვის ისევე ის დაჩვენა, როგორც წინწლებში. დაიბეჭდებიან: სსვათა შორის მოთხრობანი როგორც ორგინალი აგრეთვე საუკეთესო უცხო თხზულებათა თარგმანები, პიესები: პოდვილი, კომედია და ტრაგედია, ანეკდოტები: მოსწრებული სიტყვები, გასართობენი სასაცილო ამბები და სხვა. გამოცანები; სალსუაი, სამატემატიკო, საართმეთიკო; ანდახები, იგავები: ლექსები: კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; გაჩვენა პიესებისა და წარმოდგენებისა, რეცენსიები და სხვა.

ფასი გასეთისა წლით 5 მ. ნახევარწლით 3 მ.

გამოვიდა და ისეიდავა ქუთაისში, ი. მუჭადოვის წიგნის მაღაზიაში

## ქართული წერის დედანი

მ. ბაბიჩიძის

ფასი 30 კაპ.

ვინც ოც-და-ათს, ანუ მეტს ეკემპლიარს იყიდის, ეკემპლიარი 24 კაპ. დაეთმობა და გაეკსავნება.

წერის დედანს შეადგენს: 1.) მსხვილი გადაბმული ხელი ბადეში თავის ვლეპენტრებით; 2.) დახატარავებული საშვალლო გრგვალლი ხელი უბადეთ ოთხს სახში; 3.) გადაბმული სწორედ (აღმაცურად) ნაწერი ნუსხური ხელი სამს სახში და 4.) გადახრილი (наклонный) გაკრული ნუსხური ხელი ბადეში-ჯერ გადაბმულად და შემდეგ სამს სახში გადაბმით. დედანს აქვს სულ 24 კვერდი.

ОБЪ ИЗДАНИИ ВЪ 1887 ГОДУ  
ПОЛИТИКО-ЛИТЕРАТУРНО-ЮРИДИЧЕСКОЙ

газеты

**„КАВКАЗСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“**  
(Бывшее «юридическое обозрѣніе»)

годъ седьмой

Издавая въ теченіи шести лѣтъ „Юридическое Обозрѣніе“, посвященное изученію юридическихъ вопросовъ, судебной практики и правовой жизни, редакция журнала, въ виду нарождающихся потребностей, признала необходимымъ расширить программу и съ 1-го Января 1887 года издавать ежедневную политико-литературно-юридическую газету, подъ названіемъ „Кавказское Обозрѣніе“

Въ газетѣ примутъ участіе многіе столичные, иногородніе и мѣстные Кавказскіе корреспонденты и извѣстные писатели,—спеціалисты по разнымъ отдѣламъ изданія.

Газета будетъ выходить ежедневно, не исключая и послѣ-воскресныхъ дней, въ количествѣ 350 №№ въ годъ, въ форматѣ обыкновеннаго газетнаго листа, по слѣдующей программѣ:

1. Статьи по вопросамъ: а) теории и практики права и судопроизводства, экономическимъ финансовымъ, государственнымъ, международнымъ, общественнымъ, по общему праву и статистикѣ; б) русской и иностранной общественной жизни, политики и литературы; и в) промышленнымъ: нефтяному, винодѣлю, шелководству, марганцовому дѣлу и др.—II. Обозрѣніе правительственныхъ распоряженій.—III. Судебное обозрѣніе (судебные отчеты и кассационныя рѣшенія).—IV. Общественное Обозрѣніе (отчеты о засѣданіяхъ общественныхъ собраній и ученыхъ обществъ).—V. Тифлисское и кавказской Обозрѣніе (новости и корреспонденціи).—VI. Русское Обозрѣніе.—VII. Иностранное Обозрѣніе.—VIII. Обозрѣніе русской и иностранной періодической печати; критика и библиографія.—IX. Торговопромышленное Обозрѣніе (торговопромышленныя свѣдѣнія и курсы).—X. Фельтонъ: романы, повѣсти, рассказы о явленіяхъ общественной жизни и стихотворенія.—XI. Послѣднія новости и телеграммы.—XII. Смѣть.—XIII. Театръ и музыка.—XIV. Справочный указатель (резолуціи Тифлискихъ судебныхъ установленій по дѣламъ апелляціоннымъ кассационнымъ и пр.).—XV. объявленія.

**Условія подписки:**

**РЕДАКЦІЯ И АДМИНИСТРАЦІЯ ГАЗЕТЫ** (для приѣма подписки, объявленій и разничной продажи)—ТИФЛИСЬ, Сололаки, Нагорная улица, д. № 21.

Подписная цѣна на газету (съ доставкою и пересылкою.)

Въ Россіи	Руб. коп.	За границею:	Руб. коп.
На 12-ть мѣсяцевъ	— 12	На годъ	— 19
— 6	— 6 50	— полъ года	— 10
— 3	— 3 50		
— 1	— 1 50		

для г. г. студентовъ годовая плата—9 р., съ разсрочкою: при подпискѣ, въ апрѣлѣ и августѣ по 3 р.

Отдѣльные №№ газеты по 5 коп.

ОБЪЯВЛЕНІЯ, за занимаемое мѣсто, строка петита 5 коп.; при неоднократныхъ объявленіяхъ, дѣлается скидка.

Подписки на газету и объявленія также принимаются: въ Тифлисъ: въ типографіи „Кавказское Обозрѣніе“ (Дворцовая улица, каравансарай, бывшій Ардуни) и въ Центральной книжной торговлѣ, въ Петербургѣ и Москвѣ, въ книжныхъ магазинахъ: И.И. Анисимова и „Новаго Времени“, въ Харьковѣ—въ книжн. магаз. „Новаго Времени“, въ Одесѣ—у Распопова, въ Варшавѣ—у Райхмана и Фредлера и др.

При доставленіи въ редакцію экземпляра сочиненія юридическаго или иного содержанія о немъ будетъ данъ отчетъ и сдѣлана публикація

Редакторъ—издатель А. С. ФРЕНКЕЛЬ.